ეროვნული ბიბლიოთეკა

Б-1368

# ცნობის ფურცელი

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული
----------საბჭოს საინფორმაციო რვეული----------
--------------------------
№ 1.          1 9 5 3 წ.          თებერვალი.
XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ჩვენი წესდების მეექვსე მუხლის მეთერთმეტე პარაგრაფი ორგანიზაციის გამგეობას ავალებს, წევრები საერთო მოქმედების კურსში იყოლიოს და ჩატარებული მუშაობის შესახებ მიაწოდოს ცნობები წელიწადში რამოდენიმეჯერ. სამწუხაროდ, დღემდე არ გვქონდა ამის საშუალება, რაც უმთავრესად ტექნიკური დაბრკოლებებით აიხსნება. ამჟამად ეს დაბრკოლებები თითქმის აღარ არსებობს და ბედნიერად ვრაცხთ თავს განვლილი მოქმედების სურათი გადავშალოთ, რომელიც სრულ ხუთ თვეს მოიცავს.

„ცნობის ფურცელი“ არ წარმოადგენს ორგანიზაციის ოფიციალურ ორგანოს, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვა, - არამედ მხოლოდ საინფორმაციო რვეულს, რომლის დანიშნულებაა ორგანიზაციის წევრებთან მჭიდრო კავშირის იქონიოს და ჩატარებული მოქმედების შესახებ ხან დაწვრილებითი, ხან ზოგადი ცნობები მიაწოდოს; ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, „ცნობის ფურცელი“ უფრო ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის მაჩვენებელი იქნება, ვიდრე ფართო-იდეური ორგანო.

მიუხედავად ასეთი ერთგვარი შინაურული ხასიათისა, „ცნობის ფურცელი“ წევრებს გარდა არა-წევრებსაც დაურიგდება. ამით, მოქმედების კურსში გვეყოლება ქართული საზოგადოებაც. ჩვენი მიზანი და მოქმედების გეზი ნათელია, - ამიტომ იგი არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. „ცნობის ფურცელი“ სიამოვნებით დაუთმობს ადგილს მკითხველებს საპოლემიკოდ და შეგნებული აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის, რაც, სრული დარწმუნებული ვართ, დიდად შეუწყობს ხელს როგორც ჩვენს მუშაობას, ისე ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და გაერთიანებას ერთი საერთო მიზნის ირგვლივ.

თავის მუშაობაში გამგეობას მრავალი სიძნელე ეღობებოდა, მაგრამ ამაზედ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ; ვიტყვით მხოლოდ, რომ, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, შედეგები მაინც მივიღეთ, აღვნიშნავთ მოკლედ რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში და რა გაკეთდა დღემდე:

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

## საორგანიზაციო საკითხები.

როგორც იცით, 1952 წლის 5 ოქტომბერს, ნიუ იორკში, საინიციატივო ჯგუფმა მოიწვია ქართველთა კრება, რომელსაც თავისი მიზანი გააცნო და წესდების პროექტიც წარუდგინა. კრებამ ინიციატივა მოიწონა და ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც თავის უმთავრეს მიზნად დაისახა - ბრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ! კრებაზე დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ ახალი ორგანიზაციის წევრობის სურვილი განაცხადა, რის შემდეგ ფარული კენჭის ყრით არჩეული იქმნა გამგეობა შვიდი წევრის შემადგენლობით. ესენი იყვნენ: ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, გიორგი ლოლიბერიძე, ვახტანგ აბაშიძე, გივი კობახიძე, ისიდორე გაჟონია და სანდრო ბარათელი. გამგეობას დაევალა წესდების და მოწოდების გადამუშავება, შევსება და შემდეგ მათი დაგზავნა ქართველთა შორის, როგორც ამერიკაში ისე ყველგან, სადაც ქართული ემიგრაცია იმყოფება. კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა საინიციატივო ჯგუფს და მისი ფუნქციები დამთავრებულად ჩასთვალა.

გამგეობა დაუყონებლივ შეუდგა მუშაობას. ერთი თვის განმავლობაში იგი რამოდენიმეჯერ შეიკრიბა, გამოიტანა უმთავრესი გადაწყვეტილებები და სათანადო ნაბიჯებიც გადადგა. უპირველეს ყოვლისა მიახდინა შრომის განაწილება გამგეობის წევრთა შორის, ამოირჩია თავმჯდომარე, მდივანი და მოლარე (იხ. ოქმი №1, 1952წ. 9 ოქტომბერი). შეიმუშავა წესდების ახალი პროექტი და შეადგინა ვრცელი მოწოდება. ახალი წესდებით ორგანიზაციას ეწოდა „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ი ს ა მ ე რ ი კ უ ლ ი ს ა ბ ჭ ო“ (იხ. ოქმი № 4, 1952წ. 2 ნოემბერი). სახელწოდების შეცვლაში გამგეობა ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკურ მუშაობაში საჭირო იყო ამერიკელთა ჩაბმაც. გარდა ამისა, ახალ სახელწოდებაში აშკარად არის ხაზგასმული „საქართველოს დამოუკიდებლობა“, რაც ახალი ორგანიზაციის სულიერ დედა-აზრს წარმოადგენს.

წესდების პროექტი და მოწოდება, თანდართული მიმართვის წერილით, 1952 წლის 10 ნოემბერს, დაეგზავნა სხვა და სხვა ქართულ ორგანიზაციებს, პარტიებს და ცალკეულ პირებს ამერიკასა და ევროპაში. ორგანიზაციებიდან დაეგზავნა:- საქართველოს ეროვნულ მთავრობას (ბ. ნოე ჟორდანიას სახელზე), „ქართულ ეროვნულ საბჭოს“, სოც.-დემოკრატიულ პარტიას, ეროვნულ-დემოკ-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

რადიულ პარტიას,სოც.-ფედერალ. პარტიას,თეთრი გი-
ორგის მოძრაობას,ეროვნულ ცენტრს,სამხედრო კავშირს,
თავისუფალ ქართველთა კავშირს. სათვისტომოებს: ნიუ
იორკში,პარიზში,მიუნხენში,ლონდონში,რომში,ბრიუსელ-
ში,ბუენოს აირესში და სხვაგან.

გამგეობამ კავშირი დაიჭირა საქართველოს ბედში
მყოფი სხვადასხვა ერების პოლიტიკურ ორგანიზაციებ-
თან:უკრაინელებთან,ბელორუსებთან,პოლონელებთან,ბალ-
ტიელებთან,აზერბეიჯანელებთან,ჩრდილო კავკასიელებ-
თან და სხვებთან. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა
„ხალხთა განმათავისუფლებელ ამერიკულ კომიტეტთანაც".
1952 წლის სამ ნოემბერს გამგეობამ წერილობით მიმარ-
თა „ამერიკული კომიტეტის" თავმჯდომარეს - ვიცე-
ადმირალ სტივენსს.თავის წერილში გამგეობა ბატონ
სტივენსს აცნობინებდა ახალი ქართული პოლიტიკური
ორგანიზაციის ჩამოყალიბების ამბავს,მის უმთავრეს
მიზნებს და სთხოვდა შეხვედრას პირადი განმარტებე-
ბის მისაცემად.

ვიცე-ადმირალმა სტივენსმა დაუყონებლივ გამოსთ-
ქვა სურვილი ქართველ დელეგატებთან შეხვედრისა.გამ-
გეობამ გამოყო დელეგატები: ივ.ნანუაშვილი,გივი კო-
ბახიძე,დავით ბარათელი და ისიდორე გაჭონია(იხ.ოქ-
მი №5,15 ნოემბერი,1952წ.). 22 ნოემბერს ქართველი
დელეგატები თავის ბინაზე მიიღო ვიცე-ადმირალმა სტი-
ვენსმა.საუბარი გაგრძელდა ორ-ნახევარი საათის გან-
მავლობაში. ქართველმა დელეგატებმა „ამერიკული კომი-
ტეტის" თავმჯდომარეს მოკლედ განუმარტეს „საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭოს"მიზანი და მოქ
მედების გეზი. დელეგატებმა ხაზ-გასმით აღნიშნეს,
რომ ამ ახალი ორგანიზაციის მიზანია,როგორც მისი
სახელწოდებიდანაც სჩანს,საქართველოს სრული სახელმ-
წიფოებრივ-ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა დემოკ-
რატიული რესპუბლიკის სახით,რომელიც მას 1918 წლის
26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე ჰქონდა და
რომელიც დაჰკარგა საბჭოთა რუსეთის თავდასხმის შედე-
გად. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამე-
რიკულ საბჭოს"სურს ითანამშრომლოს „ამერიკულ კომი-
ტეტთან", თუ ეს უკანასკნელი თანამშრომლობის ბაზად
მიიღებს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგე-
ნას და სცნობს ქართველი ერის ეროვნულ უფლებებს.
გარდა ამისა,ქართველმა დელეგატებმა ვიცე-ადმირალ
სტივენსს გააცნეს ორგანიზაციის წესდებისა და მო-
წოდების მთავარი ადგილები და დასძინეს,რომ ახალი
ორგანიზაცია თანამშრომლობსყველა ქართულ ორგანიზა-
ციებთან,ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგ-
ზე დგას და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გაერთი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ანებას ხელს უწყობს. ლიდერებმა ამასთანავე დასძინეს, რომ ქართული ემიგრაცია, საბედნიეროდ, ყველა მისი მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობებით, ურყევად დგას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ნიადაგზე და რომ ქართულ ემიგრაციაში არ არსებობს დაჯგუფება, რომელიც რუსეთთან ფედერაციის მომხრე იყოს; და სხვა. „საქ.დამ.აღდგენის ამერიკული საბჭო" თანამშრომლობს აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებთან და აბამს მათთან მჭიდრო კავშირს.

ვიცე-ადმირალი სტივენსი ძლიერ კმაყოფილი დარჩა ქართველი ლიდერების განცხადებით და ვრცელი პასუხიც გასცა მათ. მოგვყავს მოკლე ამონაწერს ოქმიდან(იხ.საგანგებო ოქმი №1.1952წ. 22 ნოემბერი):

"ვიცე-ადმირალი სტივენსის საუბრიდან აღსანიშნავია შემდეგი მთავარი დებულებანი:

1. საქართველოს პრობლემა ნათელი, ქართველი ერის პოლიტიკური და ზნეობრივი უფლებები უდაოა და ამავე დროს ადვილი გადასაწყვეტიც. ქართველ ერს, არც ეთნიურად, არც კულტურულად, არც სხვა თავისებურებებით, არავითარი საერთო არა აქვს რუსეთთან და საერთოდ სლავიან ერებთან. საქართველო, როგორც არა-რუსი ერი, ავტომატიურად აღადგენს დაკარგულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ეს მომავლის საქმეა,..მაგრამ ამერიკელებმა ყველაფერი კარგად იციან და ერკვევიან, განსაკუთრებით კავკასიის საკითხში. ჩვენი მიზანია ყველა ერების პოლიტიკური ემიგრაციების გაერთიანება ჯერჯერობით ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო დროშის ქვეშ. ამერიკისათვის სასურველი არაა დაქსაქსულ ძალებთან საქმე იქონიოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული პრობლემა უყურადღებოდ რჩება! არა, სწორედ ყველაზე დიდი ყურადღება ამ საკითხს ექცევა, მაგრამ როგორც გითხარით, ჯერჯერობით მხოლოდ მიზნით, ჩვენს კულისებში.

2. „ამერიკული კომიტეტი" ა რ დ ა უ შ ვ ე ბ ს რ ო მ ე ლ ი მ ე ე რ ი ს დ ო მ ი ნ ა ც ი ა ს თავის ორგანიზაციაში. დარწმუნებული იყავით, რომ ამერიკულ კომიტეტში რუსებს პრივილეგიები არა აქვთ და არც ექნებათ! ამერიკულ კომიტეტთან თანამშრომელი ერები თ ა ნ ა ს წ ო რ ი უ ფ ლ ე ბ ი თ ა რ ი ა ნ დ ა ი ქ ნ ე ბ ი ა ნ მომავალშიც აღჭურვილნი.

3. „ ამერიკული კომიტეტი" მოწადინებულია ძველ ემიგრაციასთან ერთად მიიზიდოს განსაკუთრებით ახალი

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ემიგრაცია,რომელსაც თავისი თვალით აქვს ნანახი და საკუთარ ზურგზე გამოცდილი ბოლშევიკური ტირანიის საშინელება... ახალი ემიგრაცია კარგად იცნობს ბოლშევიზმის ბუნებას,რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ფრიად საინტერესო ჩვენთვის,ამერიკელებისათვის".

ასეთია მოკლედ ის მთავარი დებულებები,რომელიც ვიცე-ადმირალი სტივენსის ვრცელი საუბრიდან ჩვენმა დელეგატებმა გამოიტანეს. ამ საუბრის მოკლე შინაარსი გამგეობამ აცნობა „ქართულ ეროვნულ საბჭოს" პარიზში,1952 წლის 14 დეკემბრის წერილით.

....

გასული წლის დასასრულს და ამა წლის დასაწყისში გამგეობა შეუდგა სამზადისს საქართველოს პრეზიდენტის - ნოე ნიკოლოზისძე ჟორდანიას დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავად,რომელიც 15 იანვარს სრულდებოდა.სამწუხაროდ,შესაფერისად ამ დღის აღნიშვნა შეუძლებელი იყო ტექნიკური და ფინანსიური დაბრკოლებების გამო. ამიტომ დავკმაყოფილდით შემდეგით: გადაწყდა,იუბილიარისათვის გაგვეგზავნა მილოცვის ბარათი და ტელეგრამა. 9 იანვარს აქაურ პერიოდულ პრესას ინგლისურ ენაზე გაუგზავნეთ ნ.ჟორდანიას მოკლე ბიოგრაფია და მოღვაწეობის შესახებ ცნობები. ეს მასალა დაეგზავნა: „ნიუ იორკ ტაიმსს", „ჰერალდ ტრიბუნს", „ვაშინგტონ პოსტს", ორ პოლონურ გაზეთს,უკრაინულ და ბელორუსულ გაზეთებს ნიუ იორკში( იხ,მასალის ასლები მდივანთან).

სამწუხაროდ, როგორც იცით,ამა წლის 11 იანვარს, საფრანგეთში გარდაიცვალა ნოე ჟორდანია და დღესასწაულის ნაცვლად გლოვა შეგვექმნა! გამგეობამ სამი სამძიმრის ტელეგრამა გაგზავნა პარიზში: გეგეჭკორის, სარჯველაძის და ეროვნული საბჭოს სახელზე. ეს ამბავი ეცნობა ზემოდ დასახელებულ პერიოდულ გამოცემებს, რომელთაგან თითქმის ყველამ დაუთმო ადგილი ნ.ჟორდანიას გარდაცვალების ცნობას და მისი მოკლე ბიოგრაფიაც გამოაქვეყნეს. განსაკუთრებით ვრცელი წერილებით გამოეხმაურნენ უკრაინელები და პოლონელები. ორგანიზაციის სამდივნომ მიიღო სამძიმრის ტელეგრამა „უკრაინული კონგრესის კომიტეტიდან" და წერილი „პანამერიკული უკრაინული კონფერენციის" ბიუროდან. ორივე ორგანიზაციას დაუყონებლივ გაეგზავნა სათანადო პასუხი. ნ.ჟორდანიას ხსოვნის აღსანიშნავი საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდი ჩატარდა ქართულ სათვისტომოსთან შეთანხმებით. ამერიკის ქართველობა ამ სამგლოვიარო აქტში გამოვიდა მთლიანი სახით,რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ბ. ლევან დუმბაძე, რომლის პირად ენერგიას და სურვილს მიეწერება ეს ამბავი.

....

1953 წლის 9 იანვარს, წესდების თანახმად, გამგეობის თავმჯდომარეობა გადავიდა ბ. ვახტანგ აბაშიძეზე. გამგეობის პირველ თავმჯდომარეს, ბ. ისიდორე გაჟონიას გამგეობის წევრებმა გამოუცხადეს დიდი მადლობა იმ შრომისათვის, რომელიც მან ორგანიზაციას და მის გამგეობას გაუწია, განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების მძიმე და რთულ პერიოდში. მადლობა შეტანილ იქმნა ოქმში(იხ. ოქმი № 7.).

მთავარი საზრუნავი, რომელიც გამგეობის ახალ თავმჯდომარეს მიენდო, - იყო ორგანიზაციის წესდების დამტკიცება შტატ ნიუ იორკის დედაქალაქ ოლბანში. ეს საქმე დაწყებული ქონდა უკვე ბ. გაჟონიას და წესდების ინგლისური თარგმანიც მზად იყო. ამან გაადვილა საქმის წინსვლა. წესდება გადაეცა სადაც ჯერ არს და უახლოეს ხანში დამტკიცდება, რაზედაც საგანგებოდ ვაუწყებთ ჩვენს წევრებს.

....

1953 წლის 27 თებერვლის სხდომაზე, ბატონმა ბარათელმა გამგეობას სთხოვა მხედველობაში მიეღო მისი მდგომარეობა და განეთავისუფლებია გამგეობის წევრობის მოვალეობიდან. გამგეობიდან გასვლის მიზეზად ბ. ბარათელმა დაასახელა მისი ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა. გამგეობამ, თუმცა დიდის გულის ტკივილით, დააკმაყოფილა მისი სურვილი და გამოსთქვა რწმენა, ბატონი ბარათელი, როგორც ორგანიზაციის წევრი, განაგრძობს შეძლებისდა მიხედვით საერთო მუშაობაში მონაწილეობის მიღებას. გამოუცხადა მადლობა დღემდე გაწეული მუშაობისათვის და უსურვა უკეთესი ჯანმრთელობა.

....

ფ ი ნ ა ნ ს ი უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა . წესდების მეშვიდე მუხლში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის „ შემოსავალს წარმოადგენს საწევრო გადასახადი (და) ერთ-დროული შემოწირულობანი." ბატონმა ზურაბ ჩხოტუამ შესწირა გამგეობას ორგანიზაციის საჭიროებისათვის ხუთასი დოლარი, რისთვისაც თავის დროზე მას უღ-მესი მადლობა გამოეცხადა. ეს თანხა იყო და რჩება ეხლაც ერთად-ერთ წყაროდ ორგანიზაციის ფინანსიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ფული ჩაიბარა ორგანიზაციის მოლარემ, რომელიც თავის დროზე საერთო კრებას ჩააბარებს დაწვრილებით ანგარიშს ორგანიზაციის ხარჯთ-აღრიცხვისას.

....

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

## კრების საკითხი.

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" წესდების მეექვსე მუხლის მეთექვსმეტე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ორგანიზაციას უფლება აქვს იქონიოს საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო, გამოსცეს გაზეთი, კრებული და სხვა".

სამწუხაროდ, სახსრების უქონლობის გამო, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება საშუალება ვიქონიოთ ბეჭდვითი ორგანო სტამბური წესით, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია მიმეოგრაფის საშუალებით. ა.წ. 27 იანვარს გამგეობამ დაადგინა გამოსცეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭოს" კვარტალური ორგანო - „ჩვენი გზა" და კვარტალური საინფორმაციო ბიულეტინი - „ცნობის ფურცელი". სარედაქციო კოლეგიის მოვალეობას დროებით შეასრულებს გამგეობა. სარედაქციო კოლეგიაში მოწვეულია ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი და ძველი საზოგადო მოღვაწე, ბატონი გრიგოლ დიასამიძე, აგრეთვე ბ.ბ. კარლო კვარაცხელია და დალი არველაძე. გამგეობის მიმართვაზე - გაუწიოს დახმარება და ითანამშრომლოს გაზეთში - ჩვენმა მხცოვანმა მოღვაწემ გვიპასუხა ახალგაზრდული გატაცებით, რამაც ძალა და მეტი ხალისი მოგვცა მომავალი მუშაობისათვის. აი ერთი ადგილი ბატონი გრ. დიასამიძის წერილიდან:

„.. მადლობას მოგახსენებთ არა მარტო თბილ გრძნობათა უხვ გამოთქმისათვის, არამედ განსაკუთრებული თაოსნობისათვის. საკუთარი ორგანოს... გამოცემა დიდი მამულიშვილური საქმეა. მთხოვთ თანამშრომლობას. მართალი გითხრათ მოწოდებაც რომ არ გამოგეგზავნათ, მე მაინც დიდი ინტერესით თქვენს კარს დავაკაკუნებდი. დიდი ხანია თვალყურს გადევნებთ. დარწმუნებული ვარ პატიოსნურად და მხნედ უხელმძღვანელებთ თქვენს ნორჩ საზოგადოებას და ახალ ორგანოს მისას ნუ შედრკებით! გული არ გაგიტეხოთ, რომ დასაწყისში ცოტა მინაურული სახე ეძლევა თქვენს ორგანოს... დიდის თანაგრძნობით მსურს გაგიწიოთ უმეტნაკლებოდ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა. ვწიოთ ერთად ჭაპანი. საწადელს მივაღწევთ, დარწმუნებული იყავით! ჩვენი ორგანო უნდა გადაიქცეს ჭეშმარიტ საზოგადოებრივი აზრის გამომხატველად".

სარედაქციო კოლეგია ირჩევს რედაქტორს, მაგრამ, როგორც თვით სარედაქციო კოლეგიას ისე რედაქტორსაც საბოლოოდ აირჩევს და დაამტკიცებს საერთო კრება. იმედია, საკუთარი ორგანოს არსებობა ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წევრთა უფრო მჭიდრო დაახლოებას და

აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რაც აუცილებელი საჭიროა ნაყოფიერი და ~~და~~ სწორი მოქმედებისათვის. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს" შესაძლებლობა ექნება ქართული საზოგადოებრივი აზრის ფერხულში აქტიურად ჩაებას და მის სულიერ და იდეურ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს!

## კავშირები და კორესპონდენცია.

„ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო„-ს გამგეობა შევიდა კავშირში დაპყრობილი ერების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რათა მათთან საერთო ენა ეპოვნა. ამჟამად არსებობს კავშირი უკრაინულ, პოლონურ, ბელორუსულ, აზერბეიჯანულ, ჩრდილო კავკასიურ და სხვა ეროვნებათა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რომელნიც თავიანთი დამოუკიდებლობის აღსადგენად იბრძვიან. გამგეობის სამდივნო მუდმივ კონტაქტშია (მიწერ-მოწერით) სხვა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან.

ჩვენი ორგანიზაციის დაარსებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული საზოგადოებრივობა. გამგეობის სამდივნომ მიიღო მრავალი წერილი, რომელთა დიდი ნაწილი მხურვალედ მიესალმება ახალი ორგანიზაციის დაარსებას და მის მიზანდასახულებას. მოვიყვანთ მოკლე ამონაწერს ზოგიერთი მათგანიდან:

ნოე ჟორდანია, მის პასუხში - **1952** წლის **17** ნოემბრის თარიღით - გვწერდა: „ ბატონებო, დიდად გმადლობთ თქვენი წერილის და მოწოდების გამოგზავნისათვის, რაიცა ამ დღეებში მივიღე. დიდად გამახარა თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯმა და მუშაობის აგებამ ნაჩვენებ დებულებებზე. ეს არის პირველი დადასტურება ქართველი ემიგრაციისა დამოუკიდებელი სამშობლოს აღსადგენად. საჭიროა ამ ნიადაგზე შეერთდეს მთელი ჩვენი ემიგრაცია - საზღვარგარეთ. სამწუხაროდ ევროპაში მყოფი ქართველი ემიგრაცია ჯგუფობრივ დაქსაქსული და დანაწილებულია. შეიძლება თქვენ ითაოდ ამ დაბნეული ხალხის თავის მოყრა და გაერთიანება. მიზანი ერთია, დროშა საერთოა, არ მესმის რა აპირდაპირებს ჩვენ თანამემამულეთ ერთი მეორის წინააღმდეგ. შეიძლება არ სურთ ჩვენი ნაციონალური მთავრობა, მაგრამ ის გამოგზავნილია ჩვენი დამფუძნებელი კრების მიერ დავალებით - განაგრძოს ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს აღსადგენად. იმედია თქვენს სასიქადულო მაგალითს გააგებიებთ ჩვენს ემიგრაციას და მოუწოდებთ შემოკრებას მის ირგვლივ. გისურვებთ გამარჯვებულ დაბრუნებას ტანჯულ

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

სამშობლოში. მრავალი სალამით და საუკეთესო სურვილებით ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა".

აკაკი პაპავა - მწერალ-პუბლიცისტი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე - 24 დეკემბერს, 1952 წ. გვწერდა: „ დიდად მოხარული ვარ, რომ ასეთი საჭირო საქმისათვის თაოსნობა გამოგიჩენიათ. გისურვებთ დიდის ენერგიით და ხალისით გაძლიერდეთ მუშაობას ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ასე საჭიროა ქართული დემოკრატიული იდეების პროპაგანდა და კავშირების გაბმა ამ მძიმე და რთულ ხანაში, როცა სხვებთან ერთად ჩვენი ერის ბედიც წყდება და ამჟამად ხანგრძლივის პერიოდით. დიდი პასუხის მგებლობა გვაწევს ყველას. გულწრფელად გამარჯვებას გისურვებთ." მეორე წერილში - 1953 წლის 24 თებერვლის თარიღით - ბ. აკ. პაპავა გვწერს: „ მე და ყველა ჩემი მეგობრები დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ, რომ მ ა ნ დ , თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც შესდგა ქართველ მამულიშვილთა კომიტეტი, რომელიც გარკვეულად დგას ეროვნულსა და დემოკრატიულ ნიადაგზედ და ცდილა სხვა ქვეყნების და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის დემოკრატიულ წრეებთან კავშირი გააბას და საქმიანობას შეუდგეს. ეს მეტად საშური და უცილოა ყველაზე უწინ მაგ ადგილას, საცა მთელი ჩვენი მომავლის(და ყველა სხვებისაც) ღერძი ტრიალებს."

გრიგოლ დიასამიძე - 12 დეკემბრის, 1952 წლის თარიღით, მოკლედ გვატყობინებდა: „ მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი მიწოდება და წესდების პროექტი. გულდასმით გადავიკითხე. სრულიად ვეთანხმები მიწოდების უმთავრეს მინაარსს და გთხოვთ ჩამრიცხოთ თქვენი კავშირის წევრად".

ალექსანდრე კორძაია - საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ფოთის ყოფ. ქალაქის თავი - 28 დეკემბერს, 1952 წ. გვწერდა შემდეგს: „ .. როგორც მე, ისე ჩემი უახლოესი მეგობრები ესალმებიან „ქართველთა დემოკრატიული კავშირის" ( წესდება და მიწოდება ამ სახელწოდებით იყო გაგზავნილი. რედ.) დაარსებას ჩრდ. ამერიკაში და იმედს გამოთქვამენ, რომ თქვენ შეძლებთ ამერიკაში მცხოვრებ ქართველობის დიდი უმრავლესობის თქვენი დროშის ქვეშ თავის მოყრას . თქვენს დეკლარაციაში აღნიშნული დებულებანი უნდა გახდეს სავალდებულო ყოველივე ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტისათვის.. დიახ, მეგობრები, როგორც ამას თქვენც აღნიშნავთ, მთელი ანტი-ბოლშევიკური ფრონტის ხელმძღვანელის როლში გამოდის ამერიკის ერი და მისი მთავრობა. და აი მთელი ჩვენი პოლიტიკური მუშაობის ღერძი უნდა იქმნას გადა-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ტანილი ამერიკაში და აი აქ თქვენ შეგიძლიათ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს თვალსაჩინო სამსახური გაუწიოთ.. იმედი გვაქვს,რომ თქვენ ხშირ კონტაქტში იქნებით საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან.. უნდა ვიგულისხმოთ,რომ მომავალი მუშაობის დროს თქვენ იქნებით მჭიდროთ დაკავშირებული ეროვნულ საბჭოსთან." მეორე წერილში,ბ.ა.კირძაია დასძენს: „ თქვენს წამოწყებას დიდათ ვაფასებთ აქ და ღრმად დარწმუნებული ვართ თქვენი მუშაობა ამერიკაში ჩვენი ეროვნული საქმისათვის ფრიად გამოსადეგი იქნება. ჩემის აზრით, სასურველი იქნებოდა,რომ ამერიკელები დაინტერესებიან ჩვენი საქმით და თქვენი საზოგადოების წევრად გაეხადათ.ეს მოგცემდათ საშვალებას მუშაობის სულ სხვა ნიადაგზე დაყენებისათვის..."

ბატონი ირაკლი ოთხმეზური - ჟურნალისტი,პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე - თერთმეტ დეკემბერს,1952 წელს, გვწერდა: „ .. მოგილოცავთ ამ ნაბიჯს და გისურვებთ ნაყოფიერ შედეგებს.მრავალ-რიცხოვანი თქვენი მად ყოფნა და ამავე დროს გარკვეული ქართული წარმოდგენებით და მიზნებით,ახალი მოვლენა არის ჩვენს ცხოვრებაში.დარწმუნებული ვარ,თქვენს წვლილს არ მოაკლებთ, საქართველოს მიეცეს უკეთესი მომავლის შესაძლებლობა. რაც შეეხება თქვენს მუხლებს და დებულებებს იგი კეთილგონივრად მიმაჩნია. მინდა მაინც ორი შენიშვნა გავაკეთო; ეტყობა სიტყვა დემოკრატიაში სხვადასხვა პიროვნება,სხვადასხვა შინაარსს აქსოვს;მე როგორც„თეთრი გიორგელი" იგი წარმომიდგენია შემდეგ დებულებაში: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა",რაც მას ერთგვარ არისტოკრატიულ წყობის ბუნებას აძლევს. რაც შეეხება ჩვენ მთავრობასთან თანამშრომლობას,ჩემმა მეგობრებმა პარიზში და მიუნხენში მკაცრი შემჩნევები მომწერეს მათ შესახებ,მათი პარტიულად განწყობილებისა და რუსებთან კავშირის საქმეში.იმედი მაქვს მომავალი გაამუქებს ამ კითხვებს. გისურვებთ. მხნეობას და გამარჯვებას." მეორე წერილში,ბ.ირ.ოთხმეზური ეხება ორგანიზაციის სახელწოდებას და აღნიშნავს: „ განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ,რომ სიტყვა„დამოუკიდებლობა"იხმარეთ.პატარა ერებს სჭირდებათ ყურადღებით მიექცენ თავისი დამოუკიდებლობის დაცვის საკითხს".

გერმანიის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე,ბ.გიორგი მაღალაშვილი და სათვისტომოს მდივანი,ბ.შრ.ავალიანი,მათს წერილში,1952 წლის 6 დეკემბერს,გვწერენ: „ ვესალმებით თქვენს წამოწყებას და გისურვებთ დაუღალავ ენერგიით მუშაობას ქართველი ერის და საქართველოს საკეთილდღეოდ".

იტალიის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე, ბატონი მიირმი აფხაზი, 1953 წლის 5 იანვრის წერილით გვატყობინებდა: „მიუხედავად სხვა და სხვა ჩვენს კოლონიაში არსებულ პოლიტიკურ მისაზრებისა - ჩვენც ვდგევართ ხელშეწყობის და თანამშრომლობის პოზიციაზე უცხოეთში მყოფ ჩვენს მთავრობასთან - ერთად ერთ კანონიერ ავტორიტეტთან. მონაწილეობას ვღებულობთ „ქართ. ეროვნულ საბჭოში" პარიზში, სადაც ვგზავნით სხდომების დროს, ჩვენს დელეგატებს.. ვთანამშრომლობთ ყოველ ქართულ პატრიოტულ ორგანიზაციასთან და პიროვნებებთან. მოსურვებთ თქვენი მიზნების შესრულებას და შეთანხმებას სხვა ქართულ პარტიებთან და ჯგუფებთან."

ბ. ვარლამ ბუნია -პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე - 11 ნოემბერს, 1952 წელს გვწერდა აღფრთოვანებულ წერილს. იგი განსაკუთრებულ სიხარულს გამოსთქვამდა ახალი თაობის ამოძრავების შესახებ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დიად საქმეს ბუდადად და თავდადებულად ემსახურება. „ძველი თაობა მიდის - ამბობს თავის წერილში ბ.ბუნია - დღეს თქვენზეა დამოუკიდებელი საქართველოს ბედ-იღბალი. საქართველო თქვენ გიმზერს, საქართველო თქვენგან მოელის შველას, ახალმა თაობამ უნდა გამოიჩინოს მეტი უნარი, მეტი სიყვარული სამშობლოს მოვლის საქმეში. მე სავსებით ვიზიარებ თქვენს მიდგომას და ღრმა იმედს გამოვსთქვამ რომ ყველაფერი ეს იქნება სისრულეში მოყვანილი."

განსაკუთრებით საინტერესოა „ქართული ეროვნული საბჭოს" მიერ გამოგზავნილი პასუხი, რომელსაც უფრო ვრცლად მოვიყვანთ: „თქვენი მიმართვა მივიღეთ, - წერენ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. რაჟდენ არსენიძე და მდივანი ბ. ნ. ურუშაძე, პირველი დეკემბრის, 1952 წლის წერილით - მისი არსებითი ნაწილი ჩვენი ჟურნალის მახლობელ ნომერში იქნება მოთავსებული. (გამოქვეყნდა „მებრძოლი საქართველო"-ს მერვე ნომერში, გვ.23--24. რედ.). ჩვენ დიდათ გვახარებს ამერიკის ქართველთაგან და განსაკუთრებით უკანასკნელ ომის შემდეგ დარჩენილთაგან ასე ბუნებრივად აღიარება იმ დიდი პრინციპის, - ერის და ადამიანის რეალური თავისუფლების,- რაც უცხოეთში მიხვედრის შემდეგ მათ გულისხმიერად შეუნიშნავთ, როგორც დასავლეთის ცივილიზაციის დამახასიათებელი და ძირითადი პრინციპი.. ჩვენ გვახარებს თქვენი სურვილი, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გვერდში ამოუდგეთ საქართველოს ეროვნულ მთავრობას გადმოხვეწილობაში, ძვირფასია თქვენი დახმარების დაპირება ჩვენი ეროვნული საბჭოსათვისაც.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს,რომ ჩვენ, ქართული ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი მთავრობასთან განუყრელად და სოლიდარულად ვაწარმოებთ ბრძოლას ერის უდავო უფლებათა აღსადგენად. მტკიცე ერთობა და ~~და~~ სოლიდარობა მთავრობასთან ჩვენ იმიტომ დავამყარეთ ,ჩვენი არსებობის პირველ დღიდანვე, რომ ქართველობას ჰქონდა ე რ თ ი პოლიტიკა,ერთი ხაზი,ერთი სამოქმედო გეზი და პროგრამა,რათა ერთი სახით წარვსდგეთ ყოველთვის უცხოელთა წინაშე. ჩვენ ამისათვის ვთხოვთ ყველა ქართველს ეროვნულ დისციპლინის დაცვას,როგორც ვიცავთ ჩვენ შინ და გარეთ. ამით ჩვენ არ ვაპირებთ ადგილობრივ ორგანიზაციის ავტონომიურ უფლებათა შეზღუდვას. ჩვენთან თანამშრომლობა შეუძლია იმათაც,რომელნიც ყველაფერში არ არიან ჩვენი აზრის და შეხედულების ამა თუ იმ საკითხში,ოღონდ თავისთავად ცხადია ერის დამოუკიდებლობის და თავისუფლების საკითხი რჩება ურყევ ბაზად,საყოველთაო - სავალდებულოთ.

..თქვენი მოწოდება ერთობისა და მთლიანობისათვის ჩვენთვის,ცხადია,სავსებით მისაღებია. და ის უნდა განხორციელდეს.მაგრამ ამისათვის მხოლოდ მოწოდების გამოცემა არ კმარა.უნდა პრაქტიკულად შეუდგეთ მის განხორციელებას. ესაა მთავარი. ჩვენ ვფიქრობთ,რაკი მთავრობას გვერდში ამოუდექით და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან რჩევას და მითითებებს მოითხოვთ, ვფიქრობთ არ უნდა ჩაგვიძნელდეს კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა... თანამშრომლობის და ერთობის პრინციპი, მოითხოვს თქვენ იყოთ არა დამხმარე ჯგუფი,არამედ სრულუფლებიანი წევრი ჩვენი საბჭოსი,მიიღოთ მონაწილეობა მის ყრილობებში დელეგატების საშუალებით,მასთან ერთად დაიმუშაოთ სახელმძღვანელო დადგენილებები და იდვათ თავზე პასუხისმგებლობა მათი მტკიცედ და უცთომლად ასრულების. აი ესაა ფუძე მორალურ ეროვნულ დისციპლინის. ნუ დაივიწყებთ,რომ „ამერიკულ კომიტეტთან" ჩვენი თანამშრომლობა განსაკუთრებულ საპასუხისმგებლო მდგომარეობას ქმნის თქვენი ორგანიზაციისათვის.თქვენი როლი უნდა იყოს ჩვენი რწმუნებულობის და წარმომადგენლობის როლი ამ კომიტეტის წინაშე.მაგრამ ეს შეიძლება დაევალოს ჩვენის მხრივ მხოლოდ ჩვენს საბჭოში შემავალ ორგანიზაციას,მის მონაწილეს,იმას,ვინც მისი წევრის ვალდებულებას და მოვალეობას იღებს თავის თავზე. მოხარული ვიქნებით თუ თქვენს აზრს გვაცნობებთ. თუ რაიმე გაუგებარია ან არასწორად მოგეჩვენოთ,ესეც გულახდილად გაგვიზიარეთ. ვეცდებით ყოველივე გაუგებრობა გავფანტოთ."

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" გამგეობამ შემდეგი პასუხი გაუგზავნა „ქარ-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

თულ ეროვნულ საბჭოს( ვბეჭდავთ შემოკლებით ) :-
„ ..მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს გამოვიცხადოთ მადლობა ჩვენი თანაგრძნობისა და ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯის მოწონებისათვის. გვახარებს და ძალას გვმატებს თქვენი მხარდაჭერა და მზად ყოფნა ურთიერთ მჭიდრო თანამშრომლობისათვის, რაც ნაყოფიერი და სწორი ეროვნული პოლიტიკის წარმოებისათვის აუცილებელია! მადლობელი ვართ აგრეთვე ჩვენი მოწოდების მოკლე შინაარსის თქვენს ორგანოში გამოქვეყნებისათვის..."

„... თქვენი სურვილია, რომ ჩვენი ორგანიზაცია იყოს „არა დამხმარე ჯგუფი, არამედ სრულუფლებიანი წევრი ქართული ეროვნული საბჭოსი"; რომ ჩვენი „ როლი უნდა იყოს" თქვენი „რწმუნებულობის და წარმომადგენლობის როლი" ამერიკულ კომიტეტში; და რომ ამ რწმუნებულობისა და წარმომადგენლობის როლი თქვენის მხრივ „შეიძლება დაევალოს მხოლოდ საბჭოში შემავალ ორგანიზაციას, მის მონაწილეს, იმას, ვინც მისი წევრის ვალდებულებას და მოვალეობას იღებს თავის თავზე".

„...გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ფაქტიურად ჩვენ ამის წინააღმდეგ მართლაც არაფერი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, არავითარი იურიდიული უფლება ამისი ჩვენ არ გაგვაჩნია და აი რატომ: ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, მის ტერიტორიაზე არსებულ ორგანიზაციას არა აქვს უფლება დ ა ე ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ო ს რომელიმე, საზღვარ გარეთ არსებულ ორგანიზაციას და მისგან ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ე ბ ი და ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი მიიღოს. აგრეთვე უფლება არა აქვს იყოს წევრი რომელიმე ორგანიზაციისა შეერთებული შტატების გარეშე!"

„... იმ შემთხვევაში, თუ, ესა თუ ის ორგანიზაცია მაინც დაექვემდებარება რომელიმე საზღვარგარეთულ ორგანიზაციას, ან მისი სრულუფლებიანი წევრი შეიქნება - კანონი მოითხოვს ასეთი ორგანიზაცია აყვანილ იქმნას აღრიცხვაზე, გატარებული რეგისტრაციაში და გაეწიოს მეთვალყურეობა უშიშროების ორგანოებისაგან! ასეთი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელისუფლება მუდმივ კურსში იყოლიონ და ყოველი მისი ნაბიჯი დაწვრილებით აცნობონ. თქვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა სიძნელეების წინაშე დადგება ჩვენი ორგანიზაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი რომელიმე, საზღვარგარეთ არსებულ, ორგანიზაციას - ამ შემთხვევაში ქართულ ეროვნულ საბჭოს - დაექვემდებარება. ამ შემთხვევაში ჩვენს არსებობას აქ საფუძველიც ეკარგება და აზრიც... ეს დაგვიკარგავს შესაძლებლობას აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რაც თქვენთვისაც საზიანო იქნება.."

„საქმისათვის უკეთესი იქნება ჩვენი ურთიერთ-თანამშრომლობა საკუთრივ ქართულ ეროვნულ დისციპლინასა და შეგნებას დაუმორჩილოთ. ჩვენი ორგანიზაციის დამოუკიდებლად არსებობა სრულიადაც არ შეუშლის ხელს „ერთიან ქართულ პოლიტიკას", „უცხოელთა წინაშე ერთი სახით წარდგომას საგარეო პოლიტიკაში" და სხვა. დელეგატების გამოგზავნა თქვენს ყრილობებზე, სახელმძღვანელი დადგენილებების ერთად დამუშავება და შემდეგ აღსრულება, ურთიერთ-თანამშრომლობის გზით სავსებით შესაძლებელი იქნება. მტკიცე შეგნება იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში ერთი სახით გამოვიდეთ და გამოსვლამდე ერთმანეთს წინასწარ შევუთანხმდეთ - სრულიად საკმარისია საქმის წარსამართავად სასურველი მიმართულებით. ერთმანეთი ვიყოლიოთ საქმის კურსში და აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ შევწყვიტოთ - ეს საშუალებას მიგვცემს შეთანხმებული მუშაობისათვის"..(იხ. მდივანთან წერილის ასლი, 10 თებერვლის, 1953 წლის თარიღით).

გამგეობამ კიდევ სხვა მრავალი წერილი მიიღო როგორც ორგანიზაციებიდან, ისე ცალკეული პირებისაგან. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ხოლო, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ გაიზიარა ჩვენი მიზანდასახულება, ბევრმა გამოსთქვა ორგანიზაციის წევრობის სურვილი და ბევრმაც თანაგრძნობა გამოგვიცხადა. ჩვენ საგანგებოდ მოვათავსედ „ცნობის ფურცელში" ბ. ირ. ოთხმეზურის წერილის ის ადგილი, სადაც იგი ჩვენს ნაბიჯს იწონებს, მაგრამ გულახდითვე გამოსთქვამს თავის შეხედულებას მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ. ასეთს გულახდილობას ყოველთვის მეტი სარგებელი მოაქვს ქართული ეროვნული საქმისათვის, ვიდრე გულჩათხრობილ განმარტოებას და უმიზნო „ჩასაფრებას" თავისივე მოძმის წინააღმდეგ!

.......

## ქრონიკა

ა.წ. 28 თებერვალს გამგეობამ მიიღო მოწვევის წერილი „ამერიკული კომიტეტიდან". ბატონი ბ.ე. კანიპოლმი(ემიგრაციის განყოფილების დირექტორი) გამოსთქვამდა გამგეობის დელეგატებთან შეხვედრის სურვილს. 5 მარტს, ქართველი დელეგატები(ვ.აბაშიძე, გ.კობახიძე, ვ.ნანუაშვილი) შეხვდნენ ბატონ კანიპოლმს და მასთან იქონიეს ვრცელი საუბარი ქართული ემიგრაციის მდგომარეობის შესახებ.

.....

20 მარტი. „რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელ ამერიკულ კომიტეტს" ამჟამად ეწოდება: „ბოლშევიზმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახან ~~ხალხთა~~ განმათავისუფლებელი ამერიკული კომიტეტი".

.....

18 მარტი. ამ დღეებში, ნიუ იორკის ქართველთა შორის გავრცელდა ასეთი მიმართვა: „14 მარტი, 1953 წ. ძვირფასო თანამემამულე! გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თანახმად ქართულ-ამერიკული ლიგის გამგეობის დადგენილებისა, ამა წლის 29 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე, ქალაქ ნიუ იორკში, პარკსაიდ ოტელში, მე-20-ე ქუჩაზე, შესდგება ქართულ-ამერიკული ლიგის საერთო კრება. დღის წესრიგი: 1. გამგეობის არჩევნები. 2. მიმდინარე საკითხები. ქართულ-ამერიკული ლიგის გამგეობა."

ამ მოულოდნელმა ამბავმა არ შეიძლება ქართველობა არ გააკვირვოს, რადგან დ ი დ ი  ხ ა ნ ი ა ქართველ-ამერიკელთა ლიგის შესახებ აღარავის არაფერი სმენია და თუმცა იგი ფორმალურად არსებულ, ლეგალურ ორგანიზაციას წარმოადგენს – ფაქტიურად მკვდარი იყო! სჩანს, ჩვენი თანამემამულეების ერთ ნაწილს განუზრახავს ამ ორგანიზაციის მკვდრეთით აღდგენა..გაცოცხლება. სურვილი კარგია. გაცოცხლების წინააღმდეგ ვის რა უნდა ექნეს, მაგრამ ისინი, ვინც ქართულ-ამერიკული ლიგის წარსულ ისტორიას კარგად იცნობენ – მათ არ შეუძლიათ ეჭვის თვალით არ შეხედონ ლიგის მომავალს და მისი პროგნოზი პესიმისტურად არ ჩასთვალონ, თუ მისი ბედი იმავე „მკურნალებს" ჩაუვარდებათ ხელში, რომლებმაც იგი სამჯერ მოკლეს, სრულიად განგებ!

მოკლედ, ძლიერ მოკლედ გადავხედოთ ლიგის წარსულს. ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ქართველთა ერთი ნაწილის ინიციატივით 1950 წლის 5 სექტემბერს, ქ. ნიუ იორკში. მისი მიზანი იყო: საქართველოს განთავისუფლება და მისი სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. გარდა ამისა: „ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მომზადება..რათა გაშუქებულ და გაცნობილ იქნას ყველა საკითხი, რაც საქართველოს შეეხება"(იხ. „ბედი ქართლისა", №9, გვ. 31-32, 1951 წ. პარიზი ). მიზანი სრულიად მისაღები და ყოველი პატრიოტი ქართველისათვის მისაწონი იყო. 1951 წლის 4 მარტს, საერთო კრებამ მოიწონა ეს ინიციატივა და აირჩია გამგეობა ერთი წლით. რა საკვირველია, როგორც ყოველ ახალ ორგანიზაციას, ლიგასაც მრავალი სიძნელე გადაეღობა წინ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მას ხელს უშლიდა გამგეობის შიგნით შექმნილი შუღლი. პირადი ინტერესებით და შეთქმულებით, იმავე წლის 25 ნოემბერს მოწვეული იქნა საერთო კრება, რომელმაც უკანონოდ გადააყენა ლიგის გამგეობა (კანონიერად არჩევნები უნდა მომხდარიყო 1952 წლის 4 მარტს) და „აირჩია" ახალი. არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

არსებობდა მიზეზი ამ ე.წ. არჩევნებისა, გარდა პირადი ინტერესებისა. 9 თვის განმავლობაში ლიგის პირველმა გამგეობამ ის მაინც შესძლო, რომ გაერთიანებული ერებისათვის მემორანდუმი გაეგზავნა და მოეწვია პრესის კონფერენცია. ახალმა გამგეობამ-კი 7 თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შესძლო შეკრება! ~~ამავე წლის~~ 22 ივნისს, 1952წ. ეს გამგეობაც „გადააგდეს", ლიგას პოლიტიკური ფუნქციები ჩამოართვეს(!), დაუტოვეს მხოლოდ კულტურული და „აირჩიეს" ახალი გამგეობა! მესამე გამგეობა კიდევ უფრო უსიცოცხლო გამოდგა, ვიდრე მეორე იყო: მთელი 9 თვის განმავლობაში ერთხელაც ვერ შეიკრიბა! გამგეობის შიგნით დაიწყო ახალი რღვევა, წევრების გასვლა-გამოსვლა და მალე ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ლიგის ჩამი-ჩუმიც კი აღარსად ისმოდა. საზოგადოება შეეგუა იმ აზრს, რომ „ლიგა მოკვდა", „ მისგან არაფერი გამოვა" და ყველამ ხელი ჩაიქნია. რაკი საერთო კრებამ ლიგას პოლიტიკური ფუნქციები ჩამოართვა და რადგან მან კულტურული ფუნქციებიც სამუდამოდ მიაძინა,- ამიტომ გასული წლის 5 ოქტომბერს, ნიუ იორკში მცხოვრები ქართველების ერთმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი მოიყარა და ახალი პოლიტიკური, უპარტიო ორგანიზაცია - „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო" - დაარსა. მისი მიზანი ყველასათვის ცნობილია. ამის შემდეგაც ლიგას ყური არ გაუბარტყუნებია და ექვსი თვე ხმა არ ამოუღია. იყო მხოლოდ პირადი შეტევები ახალი ორგანიზაციის დაშლა-დარღვევისათვის ნაცვლად იმისა, რომ მისთვის მხარი დაეჭირათ და მასთან საერთო ენა ეპოვნათ. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ეს ახალი ორგანიზაცია დიდხანს ვერ იბოგინებდა და მასაც ლიგის ბედი ეწვეოდა. აი, ამ დრო მოისმა ლიგის „ხმა სამარიდამ"! რაშია საქმე?? ვის უნდა აინტერესებდეს, ან ვის უნდა სჭირდებოდეს ლიგა ამჟამად? შეიძლება იგი სჭირდება რომელიმე კერძო ჯგუფს ან პიროვნებას, რომელთაც აქამდე ვერ გამონახეს საერთო ენა ვერც ერთ ქართულ პოლიტიკურ პარტიასთან და ორგანიზაციებთან და დარჩნენ გარიყულნი.

როდესაც თვალს ვადევნებთ ლიგის წარსულს და ვითვალისწინებთ მრავალ შესაძლებლობას -არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ჩვენი ორგანიზაცია განზე დგება და არ ერევა მომავალ არჩევნებში. ყოველ შემთხვევაში, თუ ამ ჯერად ლიგა მართლაც ამოძრავდება,-ადგილი აღარ ექნება წარსულის მსგავს მოვლენებს და საქართველოს საკეთილდღეოდ იმუშავებს - [illegible]. მისი მესვეურნი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ ჩვენს კეთილ სურვილებში. ჩვენს წესდებაში ნათქვამია, რომ - ვთანამშრომლობთ ყველა ქართ. ორგანიზაციებთან თ უ ყველა ეს ორგანიზაციები ემიგრაციის მთლიანობას ხელს უწყობენ!!

.................

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:- მკითხველებს ვთხოვთ გვაპატიონ თუ ტექსტში გაპარულია კორექტორული შეცდომები, რომელიც გამოწვეულია გამოცემის ტექნიკური სირთულით.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

„საქ.დამ.აღდგენის ამერიკული საბჭო"-ს სარედ.კოლეგია.
მისამართი: 1339 125 Str. College Point Long Island N.Y.